ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა # 304 №1

(სამართლებრივი დახმარების თაობაზე)

ქ. ქუთაისი ---   3 იანვარი 2013 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი [illegible] სახელობის ქალაქ ---- ქუთაისის №2 ---------------- საჯარო სკოლა (შემდგომში ,,შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის [illegible] ------------------ სახით ერთის მხრივ და შპს - ,,განათლების ექსპერტი" (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ვახტანგ ნაკაშაშვილის სახით მეორეს მხრივ ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის გზით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია წინამდებარე ხელშეკრულებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე სამართლებრივი დახმარების გაწევა (CPV: 79100000) და გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება.

მუხლი 2. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

1. ხელშეკრულების საერთო წლიური ღირებულება შეადგენს 2400 (ორიათასოთხასი) ლარს.
2. ხელშეკრულებით განსაზღვრული სამართლებრივი დახმარების ღირებულება თვეში შეადგენს 200 (ორასი) ლარს.
3. მომსახურების გაწევა დასტურდება მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის წარდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად.
4. დამკვეთი შემსრულებელს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ღირებულებას გადაუხდის უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ყოველი საანგარიშო თვის 28 რიცხვამდე, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 3. ხელშეკრულების მოქმედება

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2013 წლის 3 იანვრიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

1. შემსყიდველი ვალდებულია:

1.1. შეუქმნას სამუშაო პირობები მიმწოდებელს და მისი მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია და ინფორმაცია;

1.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვით აანაზღაუროს გაწეული მომსახურების ღირებულება;

2. მიმწოდებელი ვალდებულია:

2.1. უზრუნველყოს შემსყიდველისათვის განათლების სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტების და ნოვაციების გაცნობა;

2.2. უზრუნველყოს შემსყიდველისათვის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის სამართლებრივი ხელშეწყობა;

2.3. უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ მომზადებული დოკუმენტების სამართლებრივი ექსპერტიზა;

2.4. უზრუნველყოს შემსყიდველისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისა და ხელშეკრულების პროექტის მომზადებაში სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა.

2.5. საჭიროებიდან გამომდინარე შემსყიდველთან განახორციელოს ვიზიტი სამართლებრივი მომსახურების გაწევის მიზნით.

2.6. სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტების, მათ შორის სატენდერო კომისიის ოქმების პროექტების მომზადებასა და შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ოპერირებას;

2.7 პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი ტექნიკური და საკვალიფიკაციო მონაცემების განხილვისას კონსულტაციის გაწევას;

2.8 გამარჯვებულ პრეტენდენტთან დასადები ხელშეკრულების პროექტის შემუშავებას;

3. შემსყიდველი უფლებამოსილია:

3.1. მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული და ხარისხიანი შესრულება;

3.2. მოითხოვოს მიმწოდებლისაგან სასამართლოში წარმომადგენლობა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. შემსრულებელი უფლებამოსილია:

მოითხოვოს დაკვეთისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული შესრულება.

მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვანი შესრულებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულება ავტომატურად წყდება:

1.1. ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო.

1.2. მხარეების ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შემთხვევაში, თუ მას არ ჰყავს სამართალმემკვიდრე ან უფლებამონაცვლე.

2. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

მუხლი 7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

1. ხელშეკრულებაში ყოველი ცვლილების შეტანა წარმოადგენს შეთანხმებას და საჭიროებს წერილობით ფორმას, რომელსაც ხელს აწერენ მხარეები.

2. ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 8. დავის გადაწყვეტა

მხარეები ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილ დავებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავების გადასაწყვეტად მიმართავენ სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

მუხლი 9. ფორს მაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით მეორე მხარისათვის მიყენებული ყოველგვარი ზიანის ანაზღაურებისაგან, თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული სიტუაციით.

მუხლი 10. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ იოსებ იმედაშვილის სახელობის ქალაქ ქუთაისის №2 საჯარო სკოლა	შპს - „განათლების ექსპერტი“
დირექტორი:	საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „თიბისი ბანკი“ მთაწმინდის ფ-ლი ს/კ № 400071596 ბანკის კოდი TBCBGE22 ა/ა GE49TB7232536080100003
	დირექტორი ვახტანგ ნაკაშაშვილი
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)